

# თანამშრომლობის მემორანდუმი



სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა

და

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

თბილისი, 1 მაისი, 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის - ზაზა ვაშაყმაძის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით (შემდგომში-„მხარეები“) სარგებლობენ რა, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ, უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიულ ზრდასა და სააგენტოს საქმიანობაში მაღალი აკადემიური სტანდარტების უზრუნველყოფას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე „თანამშრომლობის მემორანდუმს“ შემდეგზე:

## მუხლი 1.

1. მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ რელიგიის მეცნიერულ შესწავლასა და საქართველოს სახელმწიფოს მწყობრი რელიგიური პოლიტიკის შემუშავებას, რისთვისაც სააგენტო და უნივერსიტეტი:

- ა) განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო და კვლევით პროექტებსა და პროგრამებს, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს, საზოგადოების რელიგიური განწყობების შესასწავლად და რელიგიის სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად;
- ბ) განახორციელებენ დაინტერესებული ჯგუფების, მათ შორის, სააგენტოს თანამშრომლებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ერთობლივ სემინარებსა და ტრენინგ-პროგრამებს. სააგენტოს შესაძლებლობების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სტუდენტთა სტაჟირებას სააგენტოს შესაბამის სამსახურებში;
- გ) ითანამშრომლებენ უნივერსიტეტთან რელიგიათმცოდნეობის, რელიგიისა და პოლიტიკის, რელიგიის სამართლის აკადემიური პროგრამებისა და სასწავლო-თეორიული ლიტერატურის შემუშავების საქმეში;
- დ) უნივერსიტეტი არსებული კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში გაითვალისწინებს სააგენტოს

ინტერესებსა და ინიციატივებს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში;

ე) ითანამშრომლობენ სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო-აკადემიურ და საექსპერტო პროექტების ფარგლებში საერთაშორისო ინსტიტუტებისა და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით;

ვ) უზრუნველყოფენ ერთობლივად დონორების მოზიდვას საერთო პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად;

ზ) სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით უზრუნველყოფენ საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენელთა ჩართულობას რელიგიის თემატიკასთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო პროექტებში;

თ) საერთო მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ საერთო სასწავლო, საექსპერტო და კვლევითი ცენტრების ჩამოყალიბებას;

ი) უნივერსიტეტი საკუთარი აკადემიური ბაზისა და პერსონალის მეშვეობით ხელს შეუწყობს სააგენტოს პოლიტიკისა და საქმიანობის პროფესიულ მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

## მუხლი 2.

1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება, შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი წერილობითი მხარეთაშორისი შეთანხმებით, რაც წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 3.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

## მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

## მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი (2) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.



მუხლი 6.

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით.
2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადა გაგრძელდება ავტომატურად, თუ ერთ-ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტას.
3. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი ფორმით წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ინფორმირების გზით.

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო  
სააგენტო

მის.: თბილისი, ინგოროყვას ქ. N7

თავმჯდომარე

ზაზა ვაშაყმაძე



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

მის.: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N 106

რექტორი

მერაბ ბერიძე

